დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

დეფნი ჰეარის სახ. სამედიცინო ბიბლიოთეკის შინაგანაწესი

დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დეფნი ჰეარის სახ. სამედიცინო ბიბლიოთეკის შინაგანაწესი

1. ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათი - შაბათი: 10.00- 20.00 ს.
2. ბიბლიოთეკა ემსახურება ”დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის”-ს სტუდენტებს და პედაგოგებს, აგრეთვე გარეშე პირებს. ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოა.
3. ბიბლიოთეკაში ჩაწერისათვის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სტუდენტური ID ბარათი, გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და გაიაროს რეგისტრაცია, ხოლო გარეშე პირები ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავენ უნივერსიტეტის რექტორს.
4. ბიბლიოთეკიდან ლიტერატურის გატანა შესაძლებელია ხანგრძლივი და ხანმოკლე ვადით. წიგნები, რომლებიც ინახება ბიბლიოთეკაში რამდენიმე ეგზემპლარად ხელზე გაიცემა ხანგრძლივი ვადით (არაუმეტეს 3 დღისა). ამ შემთხვევაში გატანილილი ტერატურა რეგისტრირდება მკითხველის ბარათზე მკითხველის ხელმოწერით. ხანმოკლე ვადით (სამკითხველო დარბაზში, ქსეროკოპირების განყოფილებაში, გაკვეთილზე) გატანილი ლიტერატურა რეგისტრირდება წიგნის ფორმულარზე მკითხველის ხელმოწერით.
5. სტუდენტი ვალდებულია დაფაროს საბიბლიოთეკო დავალიანება სემესტრულ გამოცდამდე ერთი კვირით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება ზემოაღნიშნულ გამოცდაზე.
6. იმ შემთხვევაში თუ მკითხველი დააზიანებს, ან დაკარგავს წიგნს, ის ვალდებულია აანაზღაუროს მისი ღირებულება ან ჩაანაცვლოს იგივე გამოცემით.
7. სტუდენტს აქვს უფლება ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერებით მიზნობრივად, განსაზღვრული დროით.
8. მკითხველი ვალდებულია: დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და წესრიგი ბიბლიოთეკაში.
9. ბიბლიოთეკის თანამშრომლები უფლებამოსილები არიან არ მოემსახურონ მკითხველს, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ წესებს.